შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

ეთიკის კოდექსი

თბილისი

2019

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ჰუმანიზმის, ტოლერანტობის და თანასწორობის პრინციპზე დამყარებული დაწესებულების კარი ღიაა ყველა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა.
1.2. დაწესებულების ეთიკის კოდექსი (შემდგომში კოდექსი) განკუთვნილია პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის /მსმენელებისათვის და ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ქცევის ზოგად ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს.
1.3. წინამდებარე კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, ადმინისტრაციულმა პერსონალმა და პროფესიულმა სტუდენტებმა/მსმენელებმა.
1.4. წინამდებარე კოდექსი მოქმედებს დაწესებულების სხვა შიდა სამართლებრივ რეგულაციებთან ერთად ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას..
1.5. დაწესებულების ყველა პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა სამართლებრივი რეგულაციებით მისთვის მინიჭებული უფლებებით; ისინი ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან საქართველოს მომქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნები, გაუფრთხილდნენ დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკურ და საგანმანათლებლო რესურსს, გამოიყენონ ისინი დანიშნულებისამებრ და დაიცვან უსაფრთხოების ზომები, გუფრთხილდნენ დაწესებულების რეპუტაციასა და პრესტიჟს.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი

2.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.
2.2. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს ეთიკის ნორმების სრული დაცვით.
2.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა იცავდეს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას.
2.4. პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა იყოს პუნქტუალური, მოწესრიგებული, სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული. მაქსიმალურად ეფექტურად უნდა იყენებდეს სწავლებისათვის განკუთვნილ დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად და მუდმივად უნდა ზრუნავდეს ცოდნის განახლებაზე, გაღრმავებასა და თვითგანითარებაზე.
2.5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია კომპეტენტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები და მუდმივად იზრუნოს თვითგანვითარებაზე.
2.6. პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა დაიცვას პროფესიული განათლებისა და დაწესებულების პრესტიჟი.

2.7. მასწავლებელი უფრთხილდება დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, იყენებს მათ დანიშნულებისამებრ და იცავს უსაფრთხოების ზომებს. მასწავლებელი არ იყენებს დაწესებულების რესურსებს თვითნებურად, პირადი მიზნებისათვის.
2.8. პროფესიული განათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს სხვების განსხვავებულ შეხედულებებს და მრწამსს.
2.9. მასწავლებელი აღიარებს და იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, მათ შორის გამოგონებებსა და საავტორო უფლებებს.
2.10. პროფესიული განამათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს კოლეგებს, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მათი საქმიანობა და ნაშრომები; კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული; არ უნდა გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეგის პიროვნული დამცირება, ცილისწამება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება.
2.11. პროფესიული განათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა აზრს, შეუქმნას მათ ყველანაირი პირობა თავიანთი იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვისათვის.
2.12. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ურთიერთობისას უნდა იცავდეს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს, ისმენდეს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა აზრს და იღებდეს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.

მუხლი 3. ადმინისტრაციული პერსონალი

3.1. ადმინისტრაციული პერსონალის მოვალეობაა დაწესებულებაში შექმნას სასწავლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გარემო.
3.2. ადმინისტრაციული პერსონალი პატივს უნდა სცემდეს დაწესებულებას და მის ტრადიციებს; თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უნდა ეპყრობოდეს სამართლიანად და პატივისცემით. ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დისკრიმინაციას სქესისა და ასაკის, რასობრივი, ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური კუთვნილების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.
3.3. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას; ხელს უწყობდეს საზოგადოებაში დაწესებულების სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. ამ მიზნით ადმინისტრაციული პერსონალი უნდა ემორჩილებოდეს დაწესებულების მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და საქართველოს მომქმედ კანონმდებლობას.
3.4. ადმინისტრაციულმა პერსონალმა, დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანად უნდა გამოიყენოს დაწესებულების ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები.
3.5. ადმინისტრაციულმა პერსონალმა არ უნდა გაამჟღავნოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი

4.1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოვალეობები და ქცევის ზოგადი წესები განისაზღვრება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე კოდექსით, დაწესებულების შინაგანაწესით, სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებით.
4.2. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

ა) დაემორჩილოს წინამდებარე კოდექსით, შინაგანაწესით, დაწესებულების სხვა სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
ბ) მზრუნველობით მოეპყროს და გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას;
გ) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და დაწესებულების პერსონალის უფლებებს, თავისუფლებებსა და ქონებას;
დ) დაწესებულების ტერიტორიაზე არ შეიტანოს, გამოიყენოს ან/და სხვას გადასცეს ალკოჰოლური სასმელი, თამბაქო (გარდა საამისოდ ნებადართული ტერიტორიისა), საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებები და ცეცხლსასროლი/ცივი იარაღი;
ე) არ გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში;
ვ) არ შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობას;
ზ) არ დაანაგვიანოს დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრი;
თ) არ მიაყენოს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა სხვა პირებს;
კ) არ მოახდინოს: სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან/და მორალური ზემოქმედება, დისკრიმინაცია - პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ზემოაღნიშნული პირისათვის დამაშინებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
4.3. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გეგმის მიზნებიდან გამომდინარე, თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი გააცდენს კონკრეტული მოდულის კონკრეტული სწავლის შედეგით გათვალისწინებული საათების ან კონკრეტული მოდულის საათების 80%-ზე მეტს, ის არ დაიშვება ზემოაღნიშნული მოდულის სწავლის შედეგის ან მოდულის შეფასებაზე.

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობა

5.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია დაწესებულების შინაგანაწესითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
5.2. ზემოხსენებულ პასუხიმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრავს დაწესებულების ეთიკის კომისია, რომელიც დროებითია და იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
5.3. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია კოლეჯში დასაქმებული ნებისმიერი პირის ან/და პროფესიული სტუდენტის დასაბუთებული განცხადება/საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, ან ზიანი მიადგა ან შეიძლება მიადგეს კოლეჯის ან სხვა პირების ინტერესებს.
5.4. დაინტერესებული პირი დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართავს დაწესებულების დირექტორს.
5.5. დირექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება ეთიკის კომისია, რომელსაც გადაეცემა შემოსული დოკუმენტაცია. ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.
5.6. დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში ეთიკის კომისიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:
ა) შეისწავლოს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, მოისმინოს დაინტერესებული მხარეების ახსნა - განმარტება;

ბ) საკითხის ყოველმხრივ და ობიექტურად შესწავლის მიზნით, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია/მტკიცებულებები;
გ) დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს.
5.7. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება, იგი სარგებლობს შემდეგი უფლებებით:
ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
გ) მიაწოდოს დისციპლინურ კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
დ) მონაწილეობა მიიღოს საკითხის გამოკვლევაში;
ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.
5.8. დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, კოლეჯის საკუთრების და უსაფრთოების დაცვას.

მუხლი 6. განცხადების/საჩივრის განხილვა

6.1. ეთიკის კომისიამ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს თანასწორობის პრინციპების დაცვით.
6.2. ეთიკის კომისიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური.
6.3. ეთიკის კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.
6.4. საჭიროების შემთხვევაში, ეთიკის კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხვა პირები.
6.5. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას, მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს დისციპლინურმა კომისიამ.
6. დისციპლინის დამრღვევს უფლება აქვს დაესწროს საკითხის განხილვას. დაასაბუთოს საკუთარი ქმედების შესაბამისობა დისციპლინური კოდექსის ძირითადპრინციპებთან.
6.7. ეთიკის კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე დისციპლინის დამრღვევის დასწრების გარეშე და სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი.
6.8. ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. ეთიკის კომისია ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის საქმის მასალას.
6.9. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარედგინება კოლეჯის დირექტორს აღსასრულებლად. სტუდენტი უფლებამოსილია აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 7. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

7.1. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და მიღებულ იქნეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის შედეგად.
7.2. დაკისრებული დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული/თანაზომიერი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეთიკის კომისია პროფესიული სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული პრინციპის დაცვით.
7.3. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განმხილველი ეთიკის კომისია ვალდებულია გაითვალიწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული ზიანი. ასევე, დარღვევის განმეორებითი ხასიათი და დამრღვევის დამოკიდებულება ჩადენილ დისციპლინარულ გადაცდომასთან.
7.4. დაუშვებელია ერთი დარღვევისათვის რამდენიმე სახდელის დაკისრება. ერთი წლის გასვლის შემდეგ პროფესიული სტუდენტი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდება კოდექსი მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.
8.2. წინამდებარე კოდექსის განთავსება ხორცილდება დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას საჯაროდ გაცნობისათვის და აგრეთვე დაწესებულების ვებ-გვერდზე.
8.3. წინმდებარე კოდექსის გაცნობა ხორცილდება ინდივიდუალურად დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის, რაც დასტურდება მათი პირადი ხელმოწერით. ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს წინამდებარე კოდექსის გაცნობას დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის.
8.4. წინამდებარე კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
8.5. წინამდებარე კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დაუყონბლივ უნდა გამოქვეყნდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე. აღნიშნული ცვლილებები არ უნდა ლახავდეს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებებს.